



1969 წლის 20 აპრილი  
 № 22 (1320) ნოემბერი

# საქართველო

გამომცემის 46-ე წელი

ნ. ხ. ბ. შიკ'აშვილი

— ნახე, დილიდანვე რამდენი მუშტარი ჰქაპთ?!  
 — მუშტარი კი არა, ოფიციანტების მანქანებია!

13.69

# გეგმვის კედელი გეგმის!



## ჩვეულება ჩვეულზე უგვიჩხესია

— სსსპარტლო ათს გეგმვით, გეგმვით ფუ-  
ლარიკა!  
— ვინაა თქვენი მათხოვარი? თხუთმეტი წა-  
ლმებს ხელს არ მოგვიძღვებ!

— ბუ-ბუ-ბუ... ტუ-ტუ-ტუ...  
ზუ-ზუ-ზუ... — ისმის ჩემი მეზობ-  
ლის კედლიდან ხმები. დიას, მეზობ-  
ლის კედელი მღერის!

— ბუ-ბუ-ბუ... ტუ-ტუ-ტუ...  
ზუ-ზუ-ზუ... ჩხრრრ... ჩხრრრ...  
ჩხრრ.

მკითხველი უცებ წარმოიდგენს,  
რომ მეზობლის კედლის იქით თთა-  
ხია, იმ თთახში რადიორეპროდუქტო-  
რი ჰკიდია და ეს ხმები რომელიმე მო-  
დური ჯაზის კაკაფონიაა. არა, ჩემი  
კედლის მიღმა მეზობლის სააბაზანოა  
და ამ საორკესტრო მელოდის ჩამრე-  
ცხი ავზი გამოსცემს. ეს ხმები მუდმი-  
ვია, სადღელამისო, სადგეგმბერ-სამა-  
ისო, საზამთრ-საზაფხულო და შეუჩრ-  
რებელი. იქ წყალი მოჩხრიალებს, ბუ-  
ლაჩაურის ანკარა წყალი, ცივი და  
სამური, ხშირად კი სანატრელი და  
სანუკვარი. მოჩხრიალებს მოშლილ  
ავზში, იღვრება, იკარგება და არასა-  
სიამოვნო მუსიკით გვართობს.

და მე მახსენდება ჩემი სადარბაზო  
შემოსასვლელი კარის სარკმელზე მი-  
კრული, სადარბაზო ბარათივით მო-  
რომეული განცხადება:

მოქალაქეო, ქალაქს იმდენი წყა-  
ლი აქვს, რომ შიგ ორაგულის და-  
ხრჩობაც კი შეიძლებაო, თვითე-  
ულ მოქალაქეს დღეში 240 ლიტ-  
რის მირთმევა შეუძლია და ყელზე  
თუ არ დაადგა, მეორე დღესაც მჭ-  
ნება ამდენისვე მირთმევის უფლე-  
ბაო. გაუფრთხილდით წყალს, თო-  
რემ, გრაფიკს დაგიწესებთ, არც  
ცივ წყალს დაგაღვივებთ, არც  
ცხელ წყალს ვადავავლებთ და გა-  
დასახადს მაინც ვადავავლებთ-  
ბო.

რა უყურადღებო მეზობელი მყავს-  
მეთქი, ვფიქრობ გუნებაში, როგორ  
არ ენანება-მეთქი ეს მაცოცხლებელი  
სითხე, რატომ აქვს მოშლილი ავზი,  
რატომ არ შეაკეთებს წყალგაყვანილ-  
ობას?

გფიქრობ და ამ ფიქრში გართულს  
მოულოდნელად მომესმა ახალი ხმა,  
ახალი მუსიკა, ახალი სიმფონია. არა,  
ეს უკვე მეზობლის კედლის სიმღერა  
აღარაა, ჩემს სააბაზანოში აღიღინდა  
მიჯანგულ-მიფინაჩებელი წყალ გა-  
ყვანილობა. სააბაზანოს კარს პირვე-  
ლად სიდედრი ეკვეთა. გამოვარდა  
გაწუწულ-დალორთხებული და დაი-  
კვნესა:

— ავარიია!  
კედელზე გაყოლებული წყალგა-  
ყვანილობის ეგრეთწოდებულ „ვინტ-  
ილს“ მოსაჭერი გაცვეთოდა, შუაზე  
გახლეჩილიყო და ისეთი შადრევანი

სცემდა, ვაკის პარკის დირექტორსაც  
კი შეშურდებოდა.

მთელი ოჯახი ფეხზე დადგა. ოჯა-  
ხის წევრებს მეზობლები მოემატნენ.  
ერთნი ვედროებს შეეჭიდნენ, მეორენი  
საავარიო თათბირს შეუდგნენ და მა-  
ლე სახურავიდან ვიდაცამ ორი ცალი  
სახურავის ფიქალი ჩამოათრია. აფე-  
თქებულ „ვინტილსა“ და აბაზანას  
შორის ღარად გაიდო ეს ფიქალები  
და ნიაღვრად მოჩხრიალეს სითხეს  
დილაძე მხოლოდ სიმამრის დარა-  
ჯობა-ლა დასჭირდა.

დილით თათბირმა მუშაობა განა-  
გრძო. ერთმა თქვა, რომ პუშკინის  
ქუჩიდან ჯობდა ხელოსნის მოყვანა.  
მეორემ მეზობლისაკენ გაიშვირა ხელი  
— იმანაც იცისო, ხოლო მესამემ,  
ყველაზე ჭკვიანმა და გამოცდილმა,  
სახლმმართველობისაკენ მიგვითითა,  
იმათი საქმეაო.

დავრეკეთ, უარყოფითად გვიპასუ-  
ხეს — ავარიზე წავიდაო. მივედით,  
მაინც უარი გვითხრეს — მასალა არა  
გვაქვსო. შევიპირდით და გაიღმა ხე-  
ლოსანმა, ეგ სხვა საქმეაო. სხვა საქ-  
მის გამო კი სწრაფად წამოვიდა.

— ვინტილია გახლეჩილი, დედი-  
ჯან, მე ვინტილი ვინ მომცა. თუ გნე-  
ბავთ, ვერის ბაზართან გიყიდით, ხუ-  
თი მანეთი ეღირება. სამ მანეთსაც  
ხელობაში გადაგახდევინებთ და ისე  
გაკეთდება, ერთ თვეს ხმას აღარ ამ-  
ოიღებს.

რას იხამ, პუშკინის ქუჩაზე გაიქ-  
ცევი და იჩივლებ? რკინეულობის მა-  
ლაზიაში შეხვალ და წყალგაყვანი-  
ლობის დეტალს სახლმმწიფო ფასში  
მოგყიდინან? სახლმმართველს შევევ-  
დრები და უფასოდ მოგართმევს? რა  
გზა გაქვს, რომ რვა თფლიანი მანეთი  
კასრზე არ დაახეთქო!

და ამ საარაკო ფასის გადახდის  
შემდეგ მინდა ქალაქის საბინაო სამ-  
მართველოს მთელი ქალაქის მოსახ-  
ლეობის სახელით შევეკითხო:

ვისი ვალია ბინებში წყალგაყვანი-  
ლობის შეკეთება? რა სასწაულის გა-  
მო იღებს სახლმმართველობის ხელო-  
სანი ხელფასს? მოშლილი წყალგა-  
ყვანილობის შეკეთება თუ მდგმურს  
ევალება, იმას მაინც რატომ არ შე-  
გვატყობინებთ, რა ღირს წყალგაყვა-  
ნილობის ესა თუ ის დეტალი და რა  
დროს რამდენი უნდა გადავიხადოთ?

თორემ მეზობლის კედელი გამუდ-  
მებით მღერის და ბულაჩაურის წყა-  
ლში ორაგული ვედარ იხრჩობა.

გ. ივანიშვილი



— გაიბე, ათანასე, გეგმვით გეგმვით  
— რაჰა, გარბოდნენ სადმე თუ?



— ბოღში, თელასი ხომა არ იბი აქ სადა?

ნახ. ზ. ფორჩინისა

ნახ. ნ. მაღალონისი



რწყილი და ჭიანჭველა რომ დაძობილდნენ და რა უბედურებაც შეემთხვათ, ეს ყველამ ზებირად ვიცით. ისიც ვიცით, რა დიდი წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდა რწყილს, რათა ძმობილი ჭიანჭველა ეხსნა გაჭირვებიდან.

ზოგი ამ ზღაპრის საფუძვლად, ანუ დედაარსად ანდაზას — „ძმობისთვისო, შავი დღისთვისო“ — თვლის, ზოგი „ხელი ხელს ბანს და ორი ვეერთად პირსო“, ზოგი — „მეგობრისთვის მეგობარიო“, ზოგი — „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“, ზოგს კი „რწყილი და ჭიანჭველა“ მექრთამეობის შემადარწუნებელ ფაქტებზე დაყრდნობით შექმნილ ზღაპრად მიაჩნია. რომელი დებულება ამათ შორის სწორი და მართალი? ვფიქრობ, არც ერთი! ზღაპარი შეგნებულად არის გადაკეთებული ანონიმური გადამწერების მიერ იმ ნაწილში, სადაც რწყილი კატასთან მიდის და თხოვს, თავს თავი დაანებო. ჩვენთვის დღემდე ცნობილ ვარიანტში კატა სამაგიეროდ რწყილს რძეს თხოვს. ეს ამბავი ფრიალ გულუბრყვილოდ და არადამაჯერებლად გამოიყურება, განსაკუთრებით — დღეს. იმიტომ კი არა, რომ კატას რძე არ უყვარს, არა! კატას რძე უყვარს და მერე როგორ! მაგრამ შეცდომა აქ კი არ არის დაშვებული, შეცდომა იმაშია, რომ რწყილი არც იყო, არც არის და ვერც იქნება ვერასოდეს რძის მშოვენი. ამას იმასაც თუ დავუმატებთ, ზღაპარში მეწველი. ძროხა არის ნახსენები, რომელიც თითქოს ვილაც რწყილს, ერთი მუჭა ბალახს



ხის გულისთვის, რამდენიმე ლიტრ რძეს აძლევს, ზღაპრის ავტორი ძალიან სასაცილოდ და უმწეოდ გამოიყურება, რა თქმა უნდა, სიუჟეტური ქარვის განვითარების თვალსაზრისით.


სინამდვილეში აი, როგორ იყო: ...რწყილი ახტა, დახტა და კატასთან მივიდა.  
— გამარჯობა შენი! — უთხრა რწყილმა.  
— რომელი ხარ? — ჰკითხა კატამ.  
— რაც დუსტი გამოიგონეს, იმის შემდეგ ველარ მცნობ ხომ,

შე რწყილიანო? — ეწყინა რწყილს.

— რწყილიანის ხმა მესმის! — უთხრა კატამ და, ყოველი შემთხვევისათვის დუსტი მოიმარჯვა.

— საჩხუბრად არ მოგსულვარ, საქმე მაქვს, ერთი წუთით გამოდი გარეთ! — უთხრა რწყილმა და, ყოველი შემთხვევისათვის, უკან დაიხია.

— თუ რამე გაქვს სათქმელი,



მაქედან მელაპარაკე! რწყილი და ოხრობა არ აკლია ჩემს ოჯახს! — უთხრა კატამ.

— თავგს უნდა დაანებო თავი, ჩემო კატავ! — თხოვა რწყილმა.

— თავგს რომ დავანებო თავი, შენ არჩენ ჩემს ცოლ-შვილს? — ჰკითხა კატამ. რწყილი შეწუხდა: „ეს რა სისულელე ვთხოვე, მართლა რომ დაანებოს თავგს თავი, ხომ დაიღუპათ კატა?“ მაგრამ ძმობილი ჭიანჭველა გაახსენდა და აიღო ნამუსზე ხელი.

— დაანებე, ჩემო ფისუნია თავგს თავი, თორემ იღუბება ჭიანჭველა! — გადმოყარა კურცხალი რწყილმა.

— ჭიანჭველას რალა მოუვიდა, შე კაცო? — შეწუხდა თავის მხრივ კატა.

— რა მოუვიდა და წყალში ჩავარდა და იხრჩობა!

— მერე ჩემი და თავგის ვარიანტი შენ რაში გაწყობს?

— რაში და, შენ თუ თავს დაანებებ თავგს, თავგი თავს დაანებებს ორმოს, ორმო მომცემს ფეტვს, ფეტვს მივუტან კრუხს, კრუხი მომცემს წიწილს, წიწილს მივუყვან ქორს, ქორი თავს დაანებებს მუხას, მუხა მომცემს რკოს, რკოს მივუტან ღორს, ღორი, გასკდა მისი მუცელი, შეჭამს რკოს, მერე მომცემს ჯაგარს, იმ ჯაგრიდან დავგრენ თოკს და ბაწარს, ვადაუგდებ ჩემს ძმობილ ჭიანჭველას და ამოვიყვან წყლიდან. აბა, რა გქნა?

— კი მაგრამ, გაძლებს შენი ძმობილი ჭიანჭველა ამდენ ხანს წყალში? — ჰკითხა კატამ.

— კაცო, მე ჩემსას ვიზამ, ხალხმა რომ არ თქვას მერე, ძმაკაცი ფეხებზე დაიკიდო და გაძლებს თუ არა, მაგი თვითონ ჭიანჭველამ იღარდოს! — თქვა გულუბრყვილოდ რწყილმა.

— კი მაგრამ, მაინც რატომ დავანებო თავი თავგს, ის ჭიანჭველა შენი მეგობარია, ჩემი ბიძა-შვილია, მამიდა-შვილია, დეიდა-შვილია თუ რა? — თქვა კატამ.

— მეცი პატივი, ჩემო ფისუნია, და მთხოვე რაც გინდა! — გაიქიჩა რწყილი.


— რა უნდა გთხოვო ახლა მე შენ? რძეს შენ გერ მიშოვნი და თევზს, ისევ ხორცი უნდა მომიტანო! — მოუჭუტა კატამ თვალები.

— მლუპავ? — ჰკითხა სევდიანი ხმით რწყილმა.

— ხორცი, სხვა გერაფერი უმჯეღის მაგ საქმეს! — კატეგორიულად თქვა კატამ.

— ძვირია, ბიჭო, ხორცი, ღმერთი არ გწამს? — შეევეღრა რწყილი.

— რა გქნა, ჩემო რწყილო, ამ კნუტებს ხომ უყურებ, ჯერ თვალი არ აუხელიათ და თითო კილო ხორცი არ ყოფნით დღეშია და თვალს რომ აახელენ, მერე, ალბათ, მე შემეძამენ! — თქვა კატამ და ხელი პირდაფრენილი კნუტებისაკენ გაიშვირა. რწყილმა გადახედა პირდაფრენილ კნუტებს, მერე კატას, „ერთი თქვენი სისხლი დამალევიათ“, გაიფიქრა, დასწყევლა დუსტის გაჩენის დღე და უკან გაბრუნდა. მივიდა სახლში, მეწობელ რწყილს, რომელსაც სამოთახიანი ბინა ჰქონდა და უჭირდა და კიდევ ერთი ოთახის შემოერთებას ნატრობდა, იმას მიყბდა თავისი ერთოთახიანი, იზოლირებული ბინა, წავიდა ბაზარში, იყიდა სპეკულანტისაგან ხორცი, მიუტანა კატას, კატამ თავი დაანება დროებით თავგს, თავგი თავი დაანება დროებით ორმოს, ორმომ მისცა ფეტვი, ფეტვი მიუტანა კრუხს, კრუხი ეშმაკი გამოდგა და ინკუ-



ბატორის წიწილი გაატანა, წიწილი მიუყვანა ქორს, ქორი დროებით გადაფრინდა ახალ მუხაზე, იმ ძველმა მუხამ მისცა რკო, რკო მიუტანა ღორს, ღორმა მისცა ჯაგარი, რწყილმა დაწნა თოკი-ბაწარი, მივიდა მუხასთან გამოაბა ეს თოკი მუხის ტოტს, გამოუსკვნა მარყუჟი და თავი გაუყარა შიგ... ასე დამთავრდა ეს ზღაპარი.



# ჯერ კიდევ არ ვპარბავ იმედს!


ნახ. მ. აბაშიანი



— სოლკა შენ არ გინდა, მუსიკა შენ არ გინდა, ინგლისური შენ არ გინდა; აბა, რა გინდა?  
— გვინდაო, გინდა, გვინდაო, ორიანების გულსტვის გავშვებს რომ არ კლავდნენ!



— კედენ ხეს რომ ჰრი, ამ დარაქს სულ ძინავს?  
— არა, ფულს რომ ვაკლავ, თვალები გავინ ვსუჭვბა.



ნახ. ნ. მაღაონიანი

— რა კვავია 40 მანეთი?!  
— შვილია, შე კაცო, და ტყუილად ხომ არ მოგცემ?!  
**ლექსიკონი**

**ბინის ორდერი** — ქალაღი, რომელიც გაძლევს უფლებას, გაარემონტო ახალი ბინა.  
**ბრაკონიერი** — ძაღლის უერთგულესი მეგობარი და სხვა ცხოველების დაუძინებელი მტერი.  
**დისერტაცია** — ისაა, არავინ რომ არ გედავება და მაინც დაცვა ჭირდება.  
**„პროფუნდო“** — უებარი საშუალება კონდუქტორის ნერვების ასაშლელად.

გ. ბახტაძე

ხომ იცი, რა ძნელია უმაღლესში მოწყობა? ინსტიტუტის დამაარსებელი რომ ძნელია, ისიც იცი?

დასწრებული რომ ვერ დავამთავრე, დაუსწრებელზე გადავიდი, მაგრამ საქმე ისაა, რომ დაუსწრებელზეც დაუსწრებლად არავინ დამიწერა ნიშანი და ყოველ კურსზე რამდენიმე წელიწადს „ვისვენებდი“, ხანდახან აკადემიურსაც ვიშვებდი. სხვები თუ სტუდენტური ცხოვრებით სუთ-ექვს წელიწადს ტკებოლდნენ, მე მთელი სიცოცხლე სტუდენტობაში გავატარე.

ერთი სიტყვით, დიპლომის აღება აუღებელ ციხედ მექცა და ჭერ საწყალ ბაბუაჩემს, მერე კი ბებიაჩემს ჩემი დიპლომის ნახვის ნატვრაში ამოძვრათ სული. სიკვდილამდეც ჩემი მშობლები ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მე მეცნიერი მუშაკი ვიყავი და უკვირდით, ამდენ ხანს სადოქტოროს რატომ არ ვიცავდი. რალა დაგიფიცოთ, ამასობაში ჩემმა შვილმა უკვე მომასწრო უმაღლესი სტანათლების მიღება და დისერტაციის დაცვა. ახლა, მგონია, ჩვენს ინსტიტუტში ლექტორად ნიშნავენ და როგორ გაუწყრება ღმერთი, შვილმა საკუთარ მამას ერთი სამიანი არ დაუწეროს!

იქნება მეშველოს რამე, ჭერ კიდევ არ ვკარგავ იმედს!

ბ. დარბაიძე.

## ესპანური შალი

ამ ცოტა ხნის წინათ ასეთი ამბავი შემემთხვა:

უნივერსიტეტში შვედი გოგონებისათვის საპალტოეს საყიდლად. ქსოვილების დახლთან ქალები ირფოდნენ. მერე და, რა მოდის ქალები არ იყვნენ! უცნაურად დაყენებული თმებითა და, თავიდან ბოლომდე, „იმპორტში“ ჩასმულები.

დახლზე მუქი გვირილისფერი, რბილი ქსოვილის რულონი იღო. მეტრი მ მანეთი ღირდა.

ძალიან მომეწონა ქსოვილი და რატომღაც ხანდაზმულ გამყიდველს ხმამაღლა ვუთხარი:

— გამომწერეთ ოთხი მეტრი!  
ვერ მოასწრო გამყიდველმა სათვალისა და ფანქრის მომარჯვება, რომ ერთი ქალი გვერდში ამომიღდა.

— სადაურია? — თან ქსოვილი მოსინჯა. ახლაც არ ვიცი, რამ მათქმევინა:  
— ვერა ხედავთ? ესპანური შალია!

ჩემმა სიტყვებმა ჯადოსნური გავლენა მოახდინა. მაინც საიდან გაჩნდა ამდენი ქალი! თხუთმეტ წუთში მთელი რულონი გაიყიდა.

ფანჯარასთან ვიდექი და ვუთვალთვალედი.

გამყიდველმა თვალი მომაველო, ბოროტი გამომეტყველება მიიღო, მაგრამ სიმართლე არ აღიარა!

დამთავრდა ალიაქოთი. წამოსვლა დავაპირე. უცებ ჩემს წინ ვიღაც ქალი გაჩნდა.

— არა გრცხვენიათ? ამდენი ხალხი როგორ მოგვატყუეთ!

— ეს შალი ესპანური კი არაა, დახედეთ! — და ქსოვილზე მიბმულ წარწერა «Артель труд»-ზე მივითითა.

დავხედე და გავიღიმე: რალა მეტქმობა!  
თინათინ ჯავახიშვილი.

## მინიასურები

**ბაზარში** მიმავალ ქმარს ცოლმა დააბარა:  
— ლათა, ჭირიმე, რაც მთავარია, არ დაგავიწყდეს ყვავილების ყიდვა! ხომ იცი, როგორ მიყვარს მიხაკები? აუცილებლად მიყიდე, გესმის?!

ქმარმა ხმა არ ვასცა. ჭიბიდან ამოიღო თხუთმეტი მანეთი, ახელ-დახედა ფულს, მერე ბაზრის ვეებერთელა კალათს შეხედა, რომლითაც სანოვავის მოტანას აპირებდა, მიავლო ერთბაშად კალათა კარებთან და გაბრაზებული გაულდა გზას.

ცოლი გაოცდა, გამოეკიდა.  
— რას შერებ, ლათა, რატომ მიავდე კალათა? აღარ აპირებ ბაზარში წასვლას?  
— შე ქალო, წასვლას როგორ არ ვაპირებ, მაგრამ სხვა თუ არაფერი, უნერხულია ხელი მიხაკის გულისთვის ამხელა კალათის ბაზარში თრევა.

აბიტურიენტები ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს აბარებდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში.  
ერთ-ერთმა აბიტურიენტმა თავისი განსაკუთრებული ვაჟკაცური გარეგნობით გამოცდებლების ყურადღება მიიპყრო. ყველა ელოდა, როდის დადგებოდა ჭერი, რომ მისი ხმა, მისი პასუხი მოესმინათ.

სამწუხაროდ, აბიტურიენტმა სუსტი მომზადება გამოამჟღავნა. გამოცდებლებს საოცრად შეებრალოთ აბიტურიენტი.

— ყმაწვილო! — ჩურჩულით გადაულაპარაკა ერთ-ერთმა გამომცდელმა, — მითხარით ზეპირად ილიას „განდეგილის“ შესავალი და სამიანს დაგიწერთ!

აბიტურიენტი გაფითრდა, მხრებში აიწურა და მობოლიშვებით ჩაილაპარაკა:  
— მაპატიეთ, ბატონო, მაგ ლექსის დასაწყისი კარგად არ ვიცი, თუ შეიძლება, სხვა რამე მკითხეთ, გთხოვთ!..

— ბარემ არ შეიძლება, — არა ნაკლებად გაფითრდა გამომცდელიც და შემკრთალოა აქეთ-იქით მიხედა, — მაგრამ რაც არის, არის! მითხარით ზეპირად ბარათაშვილის „მერანი“!


— ვაი, რატომ მიწა არ გამისკდება ახლავე, ბატონო, მაგრამ მაგ ლექსის ბოლო არ ვიცი კარგად, ჰოდა, მთლად რომ არ წაგიხდეთ ჩემზე შეხედულემა, მკითხეთ კიდევ სხვა რამე, გემუღარებთ!..

— ბოლოს და ბოლოს, აკაის „სულიკო“ მაინც არ იცი, შე კაცო?! — ცეცხლი მოეკიდა აღშფოთებულ გამომცდელს.

— აბა, არ ვიცი?! თქვენ ოღონდაც ბანი მითხარით, პატივცემულო! — სახე გაუბრწყინდა გახარებულ აბიტურიენტს და საქვეყნოდ ცნობილი სიმღერა საკმაოდ რიხიანად და ხმამაღლა წამოიწყო.

ნანა კანდელაკი

რადიოს არ ყელულთბე? რად მინდა? კმერ ტელეფონს ვაფუზავებ რადიოდ?



ნ.ბ. ზ. ლომიძისა

# კებრძოლთ ცივაჯოქანიას!

გამარჯობათ! საღამო ღვთისა, უთქვამს ხალხს. ჩვენი დღევანდელი საუბრის თემაა ციტატომანია, ანუ როგორ გამოვქვათ საკუთარი აზრი.

ლექცია მინდა დავიწყო გეორგ ფრიდრიხ ვილჰელმ ჰეგელის ცნობილი გამოთქმით: დასაწყისი ყველაზე ძნელია, თუმცა დიდი პედაგოგი იან ამოს კომენსკი ამბობს: ყველაზე ადვილია თავიდან დაწყება, ვინაიდან სხვა ადგილიდან დაწყება შეუძლებელია.

ახლა კი შემიძლია, ჩემი ლექციის ძირითად თეზას შევებო და არ ვთვლი აუცილებლად შეგახსენოთ პითაგორას ცნობილი ფრაზა: ზღვაზე ნაოსნობისას მესაჭეს უნდა დავემორჩილოთ, ცხოვრებაში კი სხვებზე უფრო ჰკუთვამქადარ კაცს! ვინაიდან, ისაყ ნიუტონისა არ იყოს, ჩვენ იმიტომ ვხედავთ სხვებზე შორს, რომ გიგანტების მხრებზე ვდგავართ.

თქვენ, ალბათ, გახსოვთ სოკრატეს აღსარება: მე ვაცი, რაც არ ვიცი. შეიძლება ამ დებულების ჰუმბარტი არსი ბევრმა არ იცოდეს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, გეცოდინებათ ეპიქტეტის სიტყვები: ნეტავი მას, ვინც არ მიისწრაფვის იმსახვენ, რაც მას არა აქვს და ტკბება იმით, რაც მას აქვს...

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ასე არ ფიქრობს. როგორც პერაკლიტე ამბობდა, ბრძოლა მეფეა ყოველთა და პლატონმაც ბრძანა, რომ კამათში იხადება ჰუმბარტიც, რაზეც არისტოტელემ ორატორულად განაცხადა: პლატონი ჩემთვის ძვირფასია, მაგრამ ჰუმბარტიც უფრო და უფრო ძვირფასი. მე აქვე უნდა მოგახსენოთ, შევეცლი რა რამდენადმე მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი რუსი პოეტის მიხაილ ლერმონტოვის ფრაზას: თუკი შენ უარესი ვახდი, ყველაფერი უარესად გეჩვენება და სიტყვა-სიტყვით გავიმეორებ კატონ უფროსის ცნობილ სენტენციას: ვინც ფუჭ საქმეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ის მნიშვნელოვან საქმეთათვის ფუჭი კაცი აღმოჩნდება.

მე ვეცდები, ზედმეტი წილსვლებისა და გადახვევების გარეშე, ვილაპარაკო ლექციის თემაზე, ვინაიდან თუ კაცი ორს რასმე საქმეს გამოევიდება, ერთმანეთი: საგან უკიდურესად განსხვავებულს, ერთ-ერთი უსაბუთოდ გაუუკეთებელი დარჩება. (ეზოპე, „ჩრეული იგავები“, სანკტებეტრბურგი. 1888 წელი).

ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენ სწორხაზოვნად, მშრალად ვისაუბროთ დასმულ საკითხზე. ახლა საღამოა და ჩვენ, მაინცდამაინც, არსად არ გვეჩქარება, ხოლო ბენიამინ ფრანკლინისა არ იყოს, ადამიანი, რომელსაც ყო-

ველთვის სადღაც მიეჩქარება, როგორც წესი, არაფრის მაქნისია.

მთავარია წინასწარდასახული მიზნისაკენ მიისწრაფოდ, ვინაიდან, როგორც ფრანგი ფილოსოფოსი დენი დიდრო ამბობს, თუ არ არსებობს მიზანი, არაფერს არ აკეთებ, და არ ქმნი არაფერს დიადს, თუკი მდებალი მიზანი გამოძრავებს. მე უნებურად მახსენდება დილოგი აბდულ-ფარაჯ ბარ ებრეის ერთი მივიწყებული ნაწარმოებიდან:

— ვინ შეიძლება ჰკვიან კაცად ჩათვალოს?  
 — ის, ვინც მხოლოდ დასახული მიზნისაკენ მიისწრაფის.

ჰუმბარტიცად, მთავარია გქონდეს საკუთარი მიზანი, საკუთარი აზრი, საკუთარი მსოფლმხედველობა, საკუთარი იდეები. სწორედ ამზე მიუთითებდა მეცხრამეტე საუკუნის საკმაოდ ცნობილი ფრანგი მწერალი ვიქტორ ჰიუგო: ჩვენი ცხოვრება მოგზაურობაა, იდეა — გზისმაჩვენებელი. თუ არ გვეყოლება გზისმაჩვენებელი, ყოველივე ჩერდება, ქვაკვდება...

საკუთარი აზრის, საკუთარი იდეის უქონლობას, მოგესხებათ, ბევრი ჩქმალავს უთვალავი ციტატის მოტანით სხვათა ნაწარმოებიდან. ეს არის მათი, ასე ვთქვათ, მძიმე არტილერია... ჩემი ღრმა რწმენით, ასე პროცენტით მართალი იყო ეპიქტეტი, რომელმაც ცნობილ ფილოსოფოსებთან ნაცნობობით მოტრახახე ერთ ახალგაზრდას უთხრა: მე ბევრ მდიდარ კაცს ვიცნობ პირადად, მაგრამ ამით ნიმიდირე როდი შემიძენიაო.

თუმცა, ციციერონისა არ იყოს, ადამიანს ჩვევია შეცდომა, ბრყვეს კი — მცდარი აზრის ჭიუტი აკვიტება. ისე კი ძნელია გვერდი აუარო სენეკას გახმაურებულ გამოთქმას: მცირე შეცდომიდან ადვილად ჩაფლობი უზარმაზარში და, საერთოდ, როგორც ჰელვეციუსი ბრძანებს, შესაძლებელი შეცდომის შიშმა არ უნდა გვაიძულოს, უარი ვთქვათ ჰუმბარტიცების ძიებაზე.

სხვათა შორის, კარგად აქვს ნათქვამი დისტერვევს: არასწორი ცოდნა უცოდინარობაზე უარესია...

ბოლოს, ჩემი ლექცია მინდა დავამთავრო მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი რუსი კრიტიკოსის — დიმიტრი პისარევის სიტყვებით: ძალიან ცოტანი არიან ისეთი შესანიშნავი ადამიანები, რომელთაც ძალუძთ უბრალოდ და გულახდილად თქვან: „არ ვიცი“.

გმადლობთ ყურადღებისათვის!

ლევან ჩანტლამე



ნ.ბ. ა. კანდელაკისა



მთავარი რედაქტორი ნოდარ ლუგბაძე

სარედაქციო კოლეგია:  
 ზ. გოლჭვაძე (პ/მზ. მდივანი),  
 ს. კლდიაშვილი,  
 ნ. მაღალიანი,  
 ბ. ნიშნიანიძე,  
 (მთავ. რედ. მოადგილე),  
 ნ. შვილიძე,  
 ო. ჭიჭიანი.

სატირისა და იუმორის: შურანალი „ნებაში“.

თბილისი, რუსთაველის პარკის № 42.  
 Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32.  
 საერთო განყოფილების 93-10-78.

საბ. კვ ცვ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცვა ასაწყობად 27/X-69.  
 ხელმოწერილია დასაბამად 1/XII-69 წ.  
 ძალაღობს ზომა 70x108/8.  
 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,  
 პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,4.  
 საბ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ  
 ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14  
 შიკვ. № 3217.  
 ში № 02429.  
 ტირაჟი 108.800.

კონტაქტური  
 აკვირება

07-730

ქართული  
საბჭოთაო  
1969

ИНДЕКС 76137

უკვე წელიწადზე მეტია, რაც პარიზ-ში უშედეგოდ თათბირობენ ვიეტნამში დაზავების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ დაკავებული პოზიციის გამო.  
**გაზეთებიდან.**

**ამერიკული პოზიცია**



ნ.ხ. ბ. ლომიძისა